ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი № 7

ქ. ლანჩხუთი

26.08.2022
14:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ზაზა წულაძე.**
კომისიის წევრები: გიორგი იმნაიშვილი, გიორგი ჩახვაძე, ალექსანდრე მახათაძე, გოჩა ჯანაშია.

მოწვეული: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ომარ ჯანაძე. საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი თამარ ფირცხალაიშვილი.

კომისიის სხდომას არ ესწრებოდა დეპუტატები: კარლო კვიტაიშვილი, ვლადიმერ ნანაძე, კახაბერ ასკურავა, გივი ცინცაძე.

კომისიის თავმჯდომარემ ზაზა წულაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ ,,ოდა-ქეარისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

2. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

4.სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:
მომხრე: 5; **წინააღმდეგი: არცერთი.**

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ ,,ოდა-ქეარისთვის" პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიას გააცნო სხდომის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ. მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტს განცხადებით მომართა (კანცელარიის 10/302220115-30; 20.07.2022 წელი) ა(ა)იპ ,,ოდა ქეარი"-ს (ს/კ 437373156) დირექტორმა ვერა წულაძემ, რომლითაც მოთხოვნილია ქ. ლანჩხუთში, ნინოშვილის ქუჩა 37 - ში მდებარე, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობა -ნაგებობის (ს/კ 27.06.52.141) პირველ სართულზე მდებარე (8 – 47.00 კვ.მ; 9 – 51,90კვ.მ; 10 – 12,23 კვმ; 11 – 16,03 კვ.მ. 12 – 18,92 კვ.მ; 13 – 12,21 კვ.მ; 14- 13,36 კვ.მ; 15 – 5,50 კვ.მ 16 – 6,71 კვ.მ. 17 – 13,05 კვ.მ; 26- 18,25 კვ.მ და 27 - 26,59 კვ.მ. საერთო ფართით 241,75 კვ.მ.) ფართის გამოყოფა ორგანიზაციის ფუნქციების და წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის განსახორციელებლად.

მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ომარ ჯანაძემ აღნიშნა, რომ ა(ა)იპ ,,ოდა ქეარი" არსებობს 2019 წლიდან. მისი მიზნები და ამოცანებია: 1. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებების ადვოკატირება, ინტერესების დაცვა და საკანონმდებლო ინიცირება. 2. შშმ ბავშვთა უფლებების დაცვა. 3. საზოგადოების ცნობიერების და სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება და განვითარება, საზოგადოებაში სწორი, ღირებულებებზე დაფუძნებული იდეალების დამკვიდრების ხელშეწყობა. 4.ორგანიზაციის სერვისებით უზრუნველყოფა: შშმ ბავშვთა ფიზიკური, სულიერი, გონებრივი და ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობა. 5. სამოქალაქო საზოგადოების ინფორმირება და განათლება ადამიანის უფლებების სფეროში. 6. კვლევების, კონსულტაციებისა და ტრენინგების ჩატარება. 7. საგანმანათლებლო და საინფორმაციო პროგრამების განხორციელება. 8. შშმ მშობლების, მეურვეებისა და ოჯახების სხვა წევრების უფლებების დაცვა, მხარდამჭერი პროგრამების ინიცირება და განხორციელება.

მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ომარ ჯანაძის განმარტებით სამსახურის მოსაზრებაა, რომ ა(ა)იპ ,,ოდა ქეარ"-ს გადაეცეს სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით 2 (ორი) წლის ვადით ქ. ლანჩხუთში, ნინოშვილის ქუჩა 37 - ში მდებარე, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობა ნაგებობის (ს/კ 27.06.52.141) პირველ სართულზე მდებარე 241,75 კვ.მ ფართი.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ ,,ოდა-ქეარისთვის" პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ **ზაზა წულაძემ** კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
მომხრე: 5 ; წინააღმდეგი: არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიას გააცნო სხდომის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, განცხადებით მომართა მოქალაქე კონსტანტინე გუმბარიძემ (26001004991), რომელმაც კომერციული მიზნით, ითხოვა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ სუფსის ადმინისტრაციული შენობის (ს/კ 27.15.52.294) პირველ სართულზე მდებარე 1 ოთახი - 25,7 კვ.მ.) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემა.

მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ომარ ჯანაძის განმარტებით სამსახურის მოსაზრებაა, რომ მოქალაქე კონსტანტინე გუმბარიძეს, 5 წლის ვადით, გადაეცეს მის მიერ მოთხოვნილი უძრავი ქონება პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ოდა-ქეარისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ **ზაზა წულაძემ** კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
მომხრე: 5 ; წინააღმდეგი: არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიას გააცნო სხდომის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში დანიშნულმა აუქციონატორმა, 27.06.52.438, 27.09.50.282, 27.02.41.163 და 27.02.41.004 საკადასტრო კოდებზე რეგისტრირებულ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის უძრავ ქონებაზე (ქონების აღწერა მოცემულია განკარგულების პროექტში) ორჯერ უზრუნველყო ელექტრონული აუქციონის მოწყობა - როგორც საწყისი საპრივატიზებო საფასურით, ასევე განმეორებით საწყისი ფასის 49%-ის შემცირებით, მაგრამ მიუხედავად ამისა მისი პრივატიზება არ განხორციელდა.

მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ომარ ჯანაძის განმარტებით სამსახურის მოსაზრებაა, რომ ზემოაღნიშნულ

უძრავ ქონებაზე ისევ გამოცხადდეს განმეორებითი ელექტრონული აუქციონი, რომლის საფუძველზეც მომზადდა წარმოდგენილი პროექტი და ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური 67%-ით შემცირდა.

საკითხთან დაკავშირებით კომისიას მართებულად მიაჩნია, რომ წარმოდგენილი ადმინისტრაციული ერთეულებიდან (ქ.ლანჩხუთი ნინოშვილის ქ.N9 ს/კ 27.06.52.438; ჩიბათის ადმინისტრაციული ერთეული, სოფ.ქვ.ჩიბათი ს/კ 27.09.50.282; აცანის ადმინისტრაციული ერთეული, სოფ.აცანა 27.02.41.163; აცანის ადმინისტრაციული ერთეული, სოფ.აცანა ს/კ 27.02.41.004) მიმდინარე წლის 29 აგვისტოს საკრებულოს სხდომაზე შემოტანილი და განხილული იქნას მხოლოდ ჩიბათის ადმინისტრაციული ერთეული (ქვ.ჩიბათი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა ს/კ 27.09.50.282)

სხდომის თავმჯდომარემ **ზაზა წულაძემ** კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
მომხრე: 5 ; წინააღმდეგი: არცერთი.

სხვადასხვა.

დეპუტატმა ალექსანდრე მახათაძემ აღნიშნა, რომ ბოლო ორი დღის ძლიერმა ქარმა`დააზიანა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაახლოებით 60-70%. მისი თქმით, მთავრობა სტიქიური მოვლენების დროს (კახეთსა და სხვადასხვა რეგიონში) კონპენსირებას აკეთებს. ამიტომ მერიის შესაბამისმა სამსახურმა, ასევე, სოფლის მეურნეობის საკონსულტაციო ცენტრმა უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის მიწოდება შესაბამის სამინისტროსთან პრობლემური საკითხის მოსაწესრიგებლად.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: **ზაზა წულაძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომის დასკვნა №7

26.08.2022 წელი
14.00 საათი

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 26 აგვისტოს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ ,,ოდა-ქეარისთვის" პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

3.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ ,,ოდა-ქეარისთვის" პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

მომხრე 5 , წინააღმდეგი; არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

მომხრე 5 , წინააღმდეგი; არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტთან დაკავშირებით კომისიას მართებულად მიაჩნია, რომ წარმოდგენილი ადმინისტრაციული ერთეულებიდან (ქ.ლანჩხუთი ნინოშვილის ქ.N9 ს/კ 27.06.52.438; ჩიბათის ადმინისტრაციული ერთეული, სოფ.ქვ.ჩიბათი ს/კ 27.09.50.282; აცანის ადმინისტრაციული ერთეული, სოფ.აცანა 27.02.41.163; აცანის ადმინისტრაციული ერთეული, სოფ.აცანა ს/კ 27.02.41.004) მიმდინარე წლის 29 აგვისტოს საკრებულოს სხდომაზე შემოტანილი და განხილული იქნას მხოლოდ ჩიბათის ადმინისტრაციული ერთეული (ქვ.ჩიბათი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა ს/კ 27.09.50.282)

მომხრე 5 , წინააღმდეგი; არცერთი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: **ზაზა წულაძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

26.08. 2022 წელი
14:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ზაზა წულაძე	14:00	
2	ალექსანდრე მახათაძე	14:00	
3	კარლო კვიტაიშვილი	შვებულებაში	
4	გიორგი იმნაიშვილი	14.00	
5	ვლადიმერ ნანაძე	არ ესწრება	
6	გიორგი ჩახვაძე	14.00	
7	გივი ცინცაძე	არ ესწრება	
8	კახაბერ ასკურავა	შვებულებაში	
9	გოჩა ჯანაშია	13.50	